განკარგულება:**გ-95. 95232721**

თარიღი:**29/09/2023**

ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ერთი ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, №8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 75.26 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი (ს/კ: 21.03.33.072.01.501).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2023 წლის 08 აგვისტოს №4788/02 წერილით ითხოვს ზემოთ დასახელებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინის), შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრებაში გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთ დასახელებული ერთი ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა), უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) არსებულ ქონებაზე (ბინაზე) საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, №8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 75.26 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი (ბინა) (ს/კ: 21.03.33.072.01.501).

2.ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი